Dachi De Graff

https://orcid.org/0000-0001-5838-9440
Student at St Dimitri Kipiani School & College,
Project Coordinator at BRAMS Institute

RECALLING THE RED BARON

(Abstract)

KEYWORDS: Manfred Richthofen, Red Baron, Pilot, Ace, Aerial Combat, Squadron, World War I, Propaganda, Germany

Every era, or even each battle, boasts an outstanding individual who symbolises those times and events. Manfred Albrecht Freiherr von Richthofen (1892-1918) earned recognition as the highest-rated German fighter ace during World War I. He gained such fame that, at just 24 years old, he published an autobiography at the behest of the Press and Intelligence section of the German Air Force. In his book, Richthofen details his experiences but emphasises the heroism and skills of others more than his own. He clearly underestimates his personal qualities while openly acknowledging his mistakes. Modesty evidently marked this young Prussian aristocrat. He became a living legend by achieving over 80 victories in the sky during the 19 months from 1916 to 1918. A crimson plane, piloted by Baron Richthofen with a ruthlessly effective flying style, captured the admiration of both German and enemy pilots.

The future ace received private tuition until he turned nine, after which he spent a year at school in Schweidnitz. At the age of eleven, he entered the Cadet Corps in Wahlstatt at his father's insistence. In his autobiography, Manfred states that he was not

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

particularly keen to become a cadet, but his family's wishes ultimately shaped his future.

In the spring of 1911, Manfred passed his examinations and promptly enlisted in the army. He joined the 1st Regiment of Uhlans, which was garrisoned in his beloved Silesia. Young Richthofen felt pleased to be there, as acquaintances encouraged him to join the 1st Regiment. In the autumn of 1912, Manfred received his epaulettes; nothing made the 20-year-old officer happier than being called 'Lieutenant.'

On 28 July 1914, the Great War began between the countries of the Triple Alliance (Germany, Austria-Hungary, and Italy) and those of the Triple Entente (the UK, France, and Russia). This conflict erupted after Austria-Hungary declared war on Serbia, exactly one month following the assassination of Archduke Franz Ferdinand of Austria and his wife, Sophie, Duchess of Hohenberg, by Bosnian Serb student Gavrilo Princip in Sarajevo.

On 2 August 1914, just before midnight, Manfred von Richthofen conducted a final inspection of his troops and horses in the courtyard of the barracks. Using his saddlebag as a desk, he penned a note home: "My dear parents, these are to be my last lines, written in a hurry. My warmest greetings to you. If we should never see each other again, please accept these heartfelt thanks for everything you have done for me. I leave no debts behind; on the contrary, I have saved a few hundred marks, which I am taking with me. Embracing each one of you, I remain your grateful and obedient son and brother."

Six miles from the frontier he was about to cross for the greatest adventure of his life, Manfred kept orders he had memorised

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

for over a year in his pocket. Surprisingly, the Germans crossed the bridge without coming under fire, and to his astonishment, the mission concluded without any encounters with the enemy.

Manfred von Richthofen spent several months away from the main front line. Initially, he was involved in what he called the "digging business," where he faced nothing but excavation and endless trenches, which bored him. He then became a dispatch bearer but was only allowed to operate within 1,500 yards behind the front trenches. He found this position to be "very pointless" and felt oppressed, eager to experience real combat. Eventually, he was assigned the more tedious task of attending to the telephone. Even when his division planned a relatively small attack one day, he received a completely different assignment. Disappointed, the young officer wrote to his commanding general, requesting a transfer. By the end of May 1915, Manfred joined the Flying Service, fulfilling his deepest desire.

On the night before his first flight, Baron von Richthofen went to bed earlier than usual so he could be fresh and alert on the runway at seven the next morning. The view of the world from the sky left an indelible impression on him, as he later described in his book.

Richthofen was eager to reach the front line. Knowing it would take three months to become a pilot, he feared that a peace treaty might be signed in the meantime, potentially ending the war without him participating in the fight. As a result, he could not afford to spend extensive time training as a pilot and instead decided to become an observer. He was pleased to be sent to the Russian Front after just a fortnight of flying experience.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Baron von Richthofen was assigned to the renowned 69th squadron. Alongside his pilot, First Lieutenant Zeumer, Manfred considered this his most fulfilling time amid the chaos of war. Every morning and afternoon, he flew and conducted reconnaissance missions, bringing back valuable information. Georg Zeumer (1890-1917) taught him the fundamentals of piloting, and on Christmas Day in 1915, Manfred successfully passed his third examination, finally earning his wings as a pilot.

In March 1916, Richthofen joined the 2nd Battle Squadron and began studying aerial tactics. On April 26, he encountered a hostile Nieuport, whose pilot attempted to flee. Intrigued by the escape, the German pursued him and fired a short series of well-aimed shots with his machine gun. The Nieuport pitched upward, flipped over repeatedly, and ultimately crashed into a forest on the other side of the front line. Amid the roar of the engines, the German observer patted Manfred on the head and shouted congratulations on his first victory. This unexpected success marked the beginning of many more to come. In the official communiqué that day, Richthofen was mentioned without revealing his name, signifying the start of his extraordinary career and his eventual rise to become the legendary Red Baron.

One evening during the unbearably hot August of 1916, Manfred von Richthofen met Oswald Boelcke (1891-1916), a distinguished pilot who had been awarded the Ordre pour le Mérite and whom the Baron greatly admired. The famous ace had just returned from Turkey and was selecting pilots for his squadron. Although the prospect of fighting on the Western Front appealed to Manfred, he hesitated to put himself forward as a candidate. Early

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

the next morning, Boelcke knocked on Manfred's door and offered him a place in the new unit. Overjoyed, Manfred nearly fell into Boelcke's embrace; at last, his long-held dream was coming true.

On 17 September 1916, the young Manfred von Richthofen won a dramatic air battle against an apparently experienced English pilot, forcing him to land his damaged aircraft on German territory. This was his first officially registered air victory, and it was soon followed by four more, earning him the title of ace.

After bringing down his sixteenth victim, Richthofen rose to the top of the list of all flying aces and was appointed Commander of the 11th Fighter Squadron (Jasta 11). However, just two days later, at the age of 24, he was overjoyed to be awarded the Blue Max (Ordre pour le Mérite), Germany's highest military decoration at the time.

During this period, Richthofen painted his Albatross D.III a bright red to make his aircraft easily recognisable from a distance. Because of the distinctive colour of his "red bird," he became known as the "Red Knight" in English, "Der Rote Kampfflieger" ("Red Fighter Pilot" or "Red Battle Flyer") in German, "Le Diable Rouge" ("Red Devil"), and "Le Petit Rouge" ("Little Red") in French. Ultimately, he entered history as the "Red Baron" ("Der Rote Baron"). Other pilots of Jasta 11 followed his lead by painting their planes in vibrant colours.

From April to May 1917, Richthofen's colourful squadron played a prominent role in the Battle of Arras. In April alone, he personally destroyed 22 British aircraft, four of them in a single day. By the end of the battle, his total number of air victories had reached 52.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

On 24 June 1917, the renowned Manfred von Richthofen formed Jagdgeschwader 1 (JG 1) by combining Jastas 4, 6, 10, and 11, serving as its commanding officer. He carefully selected each pilot for his squadron, creating an elite German unit. JG 1 became famously known as “The Flying Circus” or “Richthofen’s Circus” for three main reasons: the bright colours of its aircraft, the frequent transfers of the unit by train—much like a travelling circus—and the fact that they often set up in tents at improvised airfields.

During the final three years of his life, Manfred lost his comrades one by one, each tragically killed in battle. Interestingly, few lived beyond the age of 25. By early 1918, only the Red Baron remained in the skies...

On Sunday, 21 April 1918, at 11:30 a.m., Captain Richthofen flew at a very low altitude over the Somme River valley in Picardy, northern France, pursuing Lieutenant Wilfrid May of No. 209 Squadron, Royal Air Force. This pursuit occurred shortly after the Canadian pilot had fired at the Red Baron's cousin, Lieutenant Wolfram von Richthofen. Captain Arthur Roy Brown attempted to assist May by briefly attacking Manfred; however, Richthofen successfully repelled this assault and continued his pursuit.

Just after noon, a .303 British bullet struck the Red Baron, allegedly fired by Cedric Popkin of the 24th Australian machine gun company. Despite his mortal wounds, Manfred managed to land his crimson Fokker triplane in territory controlled by the Australian Imperial Force. Hostile soldiers rushed toward his aircraft. Richthofen survived for a few more minutes after landing. As Sergeant Edward Smout (1898-2004) recalled, the legendary German

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ace uttered several words, but the Australians could only understand one—“Kaputt.”

After the Great War, Manfred von Richthofen contemplated a career in writing. His autobiography, particularly the essay “Reflections in a Dugout,” continues to captivate readers even a century after its publication. It is deeply poignant to reflect on how much Richthofen longed to convey but ultimately could not. In the reflections of WWI gunfire, perhaps another Franz Kafka was lost to German literature, which is renowned for its depth and richness.

More than a century has elapsed since the death of Manfred von Richthofen. Since then, the world has endured a much bloodier World War II, along with many other wars, battles, and military conflicts. The threat of new interventions remains constant in various parts of the world. Today, remote targeting through drones, biological warfare, and other radical combat innovations have emerged, broadening the options available to malevolent forces.

In this context, recalling the legendary Red Baron, a pioneer of aerial combat, prompts us to contemplate a crucial question: Had certain individuals not instigated a great war to reshape the world, the energy and potential of gifted people like Manfred might have been directed towards advancing global society. These exceptionally talented young men fought on both sides of the Front, often preferring to socialise, hunt, or play tennis with captives rather than kill each other. Yet behind the scenes, their fates were determined without their consent.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაჩი დე გრაფი
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის
მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის სტუდენტი

წითელი ბარონის გახსენება

საკვანძო სიტყვები: მანფრედ რიხტჰოფენი, წითელი ბარონი, პილოტი, ასი, საჰაერო ბრძოლა, ესკადრილია, პირველი მსოფლიო ომი, პროპაგანდა, გერმანია

1. პირველ მსოფლიო ომამდე

ყოველ ეპოქას თუ კონკრეტულ ბრძოლას განსაკუთრებული ადამიანი-სიმბოლო ჰყავს. მანფრედ ამბრეხტ ბარონ ფონ რიხტჰოფენს[1] (1892-1918) წილად ხვდა სახელგანთქმული გერმანელი სამხედრო მფრინავის იმიჯის დამკვიდრება პირველი მსოფლიო ომის დროს.

ჯერ კიდევ სიცოცხლეში იგი იმდენად ცნობილი გახდა, რომ 24 წლის ასაკში ავტობიოგრაფია გამოსცა. თითქოს, ყველაფერს დეტალურად აღწერს თავის წიგნში, მაგრამ აშკარად სხვათა გმირობასა თუ ოსტატობას უფრო გახაზავს, ვიდრე საკუთარს, თავის სულ მცირე შეცდომას კი ფონად უდებს. ეს „მაღალთა თავმდაბლობა“[2] ხასიათის საოცარ შტრიხად გასდევს ახალგაზრდა პრუსიელ არისტოკრატს. იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა 1916-1918 წლების 19-თვიან პერიოდში მოკავშირეთა 84 თვითმფრინავის განადგურებისათვის.[3] მისი ჟოლოსფერი თვითმფრინავი, „დაუნდობლად ეფექტური ფრენის მანერით“[4] რომ მართავდა ბარონი ფონ რიხტჰოფენი, მომენტალურად გადაიქცა აღფრთოვანების საგნად.

სწორუპოვარმა მფრინავმა წარუშლელი კვალი დატოვა როგორც პროფესიულ, ისე ადამიანურ ღირსებათა

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

გამო. მას უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, ოჯახი, მეგობრები, ნადირობა და სიცოცხლე. იყო უშიშარი, მაგრამ უაზრო თავგანწირვის წინააღმდეგი. მაქსიმალისტი, რომელსაც საკუთარი თავისთვის გამოცდის მოწყობა ეხალისებოდა. უკიდურესად პრაქტიკული და რაციონალური ადამიანი იმოდენა ცხოვრებისეულ სიბრძნეს ავლენდა, რეალურ ასაკთან შედარებით ორჯერ უფროსს ჰგავდა.

მანფრედი, რომელსაც სახელი ბიძის პატივსაცემად დაარქვეს, 1892 წლის 2 მაისს დაიბადა ტრადიციულად, არასამხედრო ოჯახში, რომლის წევრებიც, უმეტესად, მემამულეთა პასტორალური ცხოვრების სტილს მისდევდნენ. როგორც მამის, ასევე დედის მხარეს, ძირითად გასართობ საშუალებად ცხენოსნობა და ნადირობა ჰქონდათ. საგვარეულო კარიერულ ტრადიციაში სიახლე მანფრედის მამამ შემოიტანა, რომელიც რიხტჰოფენთაგან პირველი გახდა პროფესიონალი სამხედრო. აქედან მოყოლებული, ოჯახის არაერთმა წევრმა იარაღით ხელში სამშობლოს სამსახური აირჩია ძირითად საქმიანობად. პირველ მსოფლიო ომში მანფრედის ექვსი ბიძაშვილი დაიღუპა კავალერიაში მსახურობის დროს.

მომავალი პილოტი ცხრა წლამდე კერძო განათლებას იღებდა, შემდეგ სკოლაში ისწავლა ერთი წელი, ხოლო 11 წლისა მამის სურვილით კადეტთა კორპუსში შევიდა. ჩემთვის აზრი არავის უკითხავსო, აღნიშნავს თავის მოგონებებში. მანფრედს ერთი და ილზე და ორი ძმა – ლოთარი და ბოლკო ჰყავდა. პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას ლოთარიც მფრინავი იყო, ნაბოლარა ბოლკო კადეტთა კორპუსში სწავლობდა, ხოლო რიხტჰოფენის გვარის ქალები, მათ შორის ილზე, დაჭრილებს უვლიდნენ.

კადეტთა სასწავლებელში გამწესებულ მანფრედს მკაცრ დისციპლინასთან შეგუება უჭირდა, არც წესების

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

დაცვით იტკიებდა თავს. სწავლას თავს არ აკლავდა, მაგრამ იმდენს ყოველთვის ახერხებდა, რომ გამოცდას უპრობლემოდ აბარებდა. პრაქტიკული მინიმალიზმის პრინციპის გამოყენებით, პედაგოგთა გულისწყრომა არასდროს გამოუწვევია. შესაბამისად, პრობლემას არ უქმნიდა არც საკუთარ თავს და არც ოჯახს. საგნებიდან უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით, ტანვარჯიში, ფეხბურთი და მსგავსი აქტივობები. ამ სფეროში ისე გამოირჩეოდა, რომ მრავალი ჯილდო და ხოტბაც დაიმსახურა მეთაურისგან. თუმცა, თავად მანფრედი მოკრძალებულად აღწერს საკუთარ მიღწევებს და გახაზავს თავისი ერთადერთი კონკურენტის, პრინცი ფრიდრიხ კარლის[5] მიერ სირბილსა და ფეხბურთში მოპოვებულ პირველობას. „საკუთარი სხეული ისე არ სრულვყავი ვარჯიშით, როგორც მან“, აღნიშნა ავტობიოგრაფიაში პრინცის შესახებ.

1911 წლის გაზაფხულზე მანფრედმა გამოსაშვები გამოცდა ჩააბარა და მაშინვე მოქმედ არმიას შეუერთდა მის საყვარელ სილეზიაში,[6] სადაც ნაცნობ-მეგობრები ბლომად ჰყავდა და სწორედ მათი რჩევით გადადგა ეს ნაბიჯი. 1912 წლის შემოდგომაზე ოფიცრის ეპოლეტები მოირგო და ოცი წლის ახალგაზრდას არაფერი უხაროდა იმაზე მეტად, ლეინტენანტს რომ უწოდებდა ვინმე. ამ ფაქტის აღსანიშნავად მამამ ულამაზესი ფაშატი, სახელად სანტუცა უყიდა. მის კოლეგას, ფონ ვედელს სამხედრო ბედაური, სახელად ფანდანგო ჰყავდა. მეგობრები ერთად ავარჯიშებდნენ თავიანთ ცხენებს ხტომასა და ჯირითში. ერთხელაც სანტუცას ფეხი დაუსხლტა. ცხენმა მხარი დაიზიანა, ხოლო მანფრედმა ლავიწის ძვალი მოიტეხა. თუმცა, ჯილდოებსაც ხშირად მოიპოვებდა საბრძოლო ბედაურ ბლუმესთან ერთად.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა ვარჯიშსა და გართობაში, შეჯიბრსა და წვრთნაში. როდესაც მომავალი ომის

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

თაობაზე პრესაში აქტიურად ალაპარაკდნენ, ბევრს მაინც ჭორი ეგონა. საზღვრიდან ათ კილომეტრში განლაგებულ კავალერიას ყველაზე ნაკლებად სჯეროდა ომის ალბათობა. „ოფიცერთა კლუბში ხამანწკებს გეახლებოდით, შამპანურს მივირთმევდით, ხანდახან აზარტული თამაშებით ვკლავდით დროს. ძალიან ვმხიარულობდით. არავინ ფიქრობდა ომზე“,[7] ასე იხსენებდა მანფრედი პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდს.

ერთ დღესაც ქალაქ ელსის მმართველს, გრაფ კოსპოთს შეხვდნენ, რომელიც სასაზღვრო ზოლში სპეციალურად იმის გასაგებად ჩავიდა, რამდენად რეალური იყო ომის საფრთხე. მისგან გაიგეს კავალერისტებმა, რომ სილეზიაში ყოველ ხიდზე სამხედრო პატრული დაეყენებინათ, ზოგიერთი პოზიციაც უჩვეულოდ გაემაგრებინათ. მანფრედმა და მისმა მეგობრებმა წამში გაუფანტეს მოჩვენებასავით გაფითრებულ გრაფს ომთან დაკავშირებული შიშები, გადაარწმუნეს და დროსტარება განაგრძეს. „მეორე დღეს ბრძოლის ველზე გასვლის ბრძანება მივიღეთ“,[7] ირონიულად იხსენებდა ახალგაზრდა რიხტჰოფენი. 1914 წლის 28 ივლისი იდგა.

2. ფრონტის ძიებაში

კავალერისტებს სრულყოფილი თეორიული ცოდნა გააჩნდათ ომთან დაკავშირებით. სიტუაციის მიხედვით მოქცევის ინსტრუქციაც კარგად აეთვისებინათ. პრაქტიკულად კი, არცერთ მათგანს წარმოდგენა არ ჰქონდა, რითი დაეწყო, ბრძოლა თუ ატყდებოდა.

1914 წლის 2 აგვისტო იყო. შუაღამის დადგომას სულ რამდენიმე წუთი აკლდა. მანფრედს ჯიბეში ედო ინსტრუქცია, რომელსაც წელიწადზე მეტხანს სწავლობდა და თითოეული სიტყვა კარგად ახსოვდა. საზღვრიდან ათ

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

კილომეტრში მყოფმა, ბოლოჯერ შეამოწმა რაზმი. სანამ ცხოვრების უდიდესი თავგადასავლისკენ გაეშურებოდა, საკუთარი ცხენის საპალნე იმპროვიზირებულ მაგიდად გამოიყენა ბარათის დასაწერად: „ჩემო ძვირფასო მშობლებო, სიჩქარეში გწერთ ჩემს ამ ბოლო სტრიქონებს. სიყვარულით მოგიკითხავთ. თუ ერთმანეთის ნახვა არ გვიწერია, მიიღეთ ჩემი გულწრფელი მადლობა ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გაგიკეთებიათ. ვალი არ მრჩება. პირიქით, რამდენიმე ასეული მარკის გადანახვა შევძელი და თან მიმაქვს. თითოეულ თქვენგანს გეხვევით, თქვენი მადლიერი და მორჩილი შვილი და ძმა, მანფრედი“.[8]

შემდეგ კავალერიის ახალგაზრდა ლეინტენანტი რიხტჰოფენი ჯარისკაცებს წინ გაუძღვა და შუაღამეზე გადაკვეთა საზღვარი, რომელიც მდინარეზე გადიოდა. მისდა გასაოცრად, ინციდენტის გარეშე გადაიარა ხიდზე. იმავე დილას თავგადასავლების გარეშე მიადგა დაბა კელცეში[9] მდებარე სამრეკლოს. მტრის ჭაჭანება არ იყო სათოფეზე. გერმანელებმა ადგილობრივი მღვდელი მძევლად აიყვანეს, რომ მის თანასოფლელებს არაფერი დაეშავებინათ.

მეხუთე ღამეს გუშაგმა მოირბინა და მეთაურს მოახსენა, კაზაკები გვიახლოვდებიანო. ჟინჟლავდა. უვარსკვლავო ღამეში ერთი მეტრის მანძილზე არ ჩანდა, რა ხდებოდა. ამინდი საფარად გამოიყენა მანფრედმა და იმ უკუნში შეუმჩნევლად მიუახლოვდა კელცეში შემოსულ მტერს. კაზაკებს ფანრებით გაენათებინათ მიდამო, ხმაურობდნენ და სიფრთხილეს სულ არ იჩენდნენ. ორი-სამი ათეული კაცი იქნებოდა. ერთ-ერთი მათგანი მღვდლის სანახავად გაემართა, ის კი წინა დღეს შინ გაეშვათ გერმანელებს. გვიღალატესო, თავში გაუელვა მანფრედს და მიმალვა გადაწყვიტა, რომ შერკინებისთვის თავი აერიდე-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ბინა. რამდენიმესაათიანი დასვენების შემდეგ, კაზაკებმა დაბა დატოვეს.

მეშვიდე დღეს მანფრედი გარნიზონში დაბრუნდა. ყველა ისე უყურებდა, როგორც მოჩვენებას. თურმე, მთელ სილეზიაში გავრცელებულიყო დეტალური ცნობა მისი და ვედელის დაღუპვის თაობაზე. უკვე დედამისისთვისაც მოესწროთ მისამძიმრება. გაზეთში ნეკროლოგის გამოქვეყნებაღა აკლდათო, იხუმრა ახალგაზრდა ოფიცერმა.

მერე იყო ხანგრძლივი მგზავრობა მატარებლით. ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, სად აგზავნიდნენ, მაგრამ ზუსტად იცოდნენ საით: დასავლეთით. გაიარეს სილეზია, მერე საქსონია. მატარებლის კონდუქტორმაც მარტო ის იცოდა, რომ კურსი დასავლეთისკენ უნდა ჰქონოდა. დანიშნულების ადგილი უცნობი რჩებოდა. ყოველ სადგურზე უამრავი ხალხი ეგებებოდათ ყვავილებითა და შეძახილებით, რადგან გაეგოთ მათი მტერთან შეხვედრის შესახებ. ვედელმა კაზაკური ხმალი იშოვა და ქალიშვილებს აღაფრთოვანებდა მისი დემონსტრირებით. ასე გაგრძელდა ბაუზენდორფამდე,[10] სადაც მატარებლიდან ჩამოვიდნენ.

მეორე დღეს უწყვეტი მარშით გაემართნენ ჩრდილოეთისკენ. ისეთი საშინელი ხვატი იდგა, ცხენებს არაქათი ლამის გამოეცალათ. მანფრედმა დაადგინა, რომ ზუსტად ერთი კვირით ადრე მისი ძმის კავალერიას გაევლო იმავე მიმართულებით. ლოთარის კვალს მეორედაც გადააწყდა, მაგრამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეხვდა.

ლუქსემბურგში მისულ გერმანულ სამხედრო ძალებს არანაირი ინსტრუქცია არ გააჩნდათ, ამ სამთავროს მოსახლეობას მტრულად უნდა მოქცეოდნენ თუ მოყვრულად. მანფრედს ადგილობრივი პოლიციელი ჯარისკაცი ეგონა და დააკავა. ლუქსემბურგელი დაემუქრა, გერმანიის

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

იმპერატორთან გიჩივლებ, თუ დაუყოვნებლივ არ გამათავისუფლებო. ახალგაზრდა ოფიცერი დაფიქრდა და ის კაცი გაუშვა.

ჯუჯა-სახელმწიფო მალე ჩამოიტოვეს და ბელგიაში ამოჰყვეს თავი. მათი დივიზია სამხედრო მანევრის სტილში გადაადგილდებოდა. მათ წინ და უკან, მარჯვნივ თუ მარცხნივ არმიის სხვადასხვა ქვედანაყოფი მარშირებდა. სამხედროების ქაოტური მოძრაობა „კოლოსალური დომხალის“[7] შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე. მოულოდნელად, ეს „ენითაუწერელი არეულობა ჩინებულად ორგანიზებულ სამხედრო მანევრში“[7] გადაიზარდა.

იმ პერიოდში მანფრედს ყველაზე მეტად თვითმფრინავის დანახვა ახარებდა. თუმცა, მისიანისა და მოწინააღმდეგის ცაში გარჩევას ვერ ახერხებდა. ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ გერმანულ თვითმფრინავებს ჯვარი, მტრისას კი წრე ჰქონდა ამოსაცნობ ნიშნად. ამის გამო, განურჩევლად ესროდნენ ნებისმიერ მფრინავ ობიექტს. ასე მიიწევდნენ წინ, სანამ არლონამდე[11] მიაღწევდნენ. მანფრედმა შინაგანი ღელვით გადაკვეთა საზღვარი ხელმეორედ. ნაშუადღევს შეიტყო, რომ მისი ბიძაშვილი რიხტჰოფენი სამი დღის წინათ დაღუპულიყო სწორედ ამ მიდამოებში.

რამდენიმე თვე ფრონტის ძირითადი ხაზიდან მოშორებით, დაზვერვასა და სანგრების თხრის ზედამხედველობაში გაატარა. მერე სატელეფონო კავშირი დაავალეს. ამ ყველაფრის გამო თავს დაჩაგრულად თვლიდა, რადგან ბრძოლის წინა ხაზზე სურდა მოხვედრა. ბოლოს იმედგაცრუებას ვეღარ გაუძლო და მთავარსარდალს წერილი მისწერა გადაყვანის თხოვნით. „ბოროტმა ენებმა დამაბრალეს, რომ გენერალს ვუთხარი: ომში ყველისა და კვერცხის შესაგროვებლად კი არა, სულ სხვა მიზნით წამოვედი-მეთქი. ზემოთ ჯერ გაბრაზებას აპირებდნენ, მაგ-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

რამ მერე სურვილი მაინც შემისრულეს“,[12] ასე იხსენებდა ავტობიოგრაფიაში მოგვიანებით. ამგვარად, 1915 წლის მაისის ბოლოს მანფრედი სამხედრო ავიაციას შეუერთდა, რითიც სანუკვარი ოცნება აისრულა.

3. ღრუბლებს მიღმა

პირველი გაფრენის წინა ღამით ბარონი ფონ რიხტჰოფენი დასაძინებლად ჩვეულებრივზე ადრე დაწვა, რომ მეორე დილას შვიდ საათზე მხნედ და ენერგიულად გამოცხადებულიყო ასაფრენ ბილიკზე.

წარუშლელი კვალი დატოვა ციდან დანახულმა სამყარომ, რაც მან დეტალურად აღწერა თავის წიგნში. „ადამიანები სასაცილოდ პატარები მოსჩანდნენ. სახლები სათამაშოების ყუთიდან ამოღებულებს ჰგავდნენ. ყველაფერი ისეთი ლამაზი მეჩვენებოდა! ჰორიზონტზე ქალაქი კელნი გაწოლილიყო. საკათედრო ტაძარი ციცქნა სუვენირს წააგავდა. მიწიდან ასე მაღლა ყოფნა შესანიშნავ გრძნობას ბადებდა. დიდებული შეგრძნება იყო ზეცის ბატონპატრონობა... საშინლად მეწყინა, როცა ჩემმა პილოტმა ძირს დაშვება გადაწყვიტა... ისე ვიყავი ენთუზიაზმით სავსე, მთელი დღე დავრჩებოდი თვითმფრინავში. საათებს ვითვლიდი შემდეგ გაფრენამდე“.[13]

რიხტჰოფენს ერთი სული ჰქონდა, ფრონტზე მოხვედრილიყო. პილოტად გახდომას სამი თვე სჭირდებოდა. ამდენ დროს კი ვერ დაკარგავდა. ღელავდა, ამასობაში ვაითუ სამშვიდობო ხელშეკრულება დადონ და მსოფლიო ომი უჩემოდ დაამთავრონო. ამიტომ ნავიგატორობა გადაწყვიტა. გაბედნიერდა, როდესაც ორკვირიანი ფრენების შემდეგ, რუსეთის ფრონტზე გაგზავნეს.

სახელგანთქმულ 69-ე ესკადრილიას შეუერთდა. თავისი პირველი პილოტის, უფროსი ლეინტენანტი ზოიმე-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

რის[14] გვერდით, ომის ქარცეცხლს მანფრედი ცხოვრების ულამაზეს ხანად აღიქვამდა. ყოველ დილა-საღამოს დაზვერვაზე გაფრენა და ღირებული ინფორმაციის მოტანა უწევდა.

1915 წლის ზაფხული ახალგაზრდა რიხტჰოფენმა გენერალ მაკენზენის[15] სამხედრო ავიაციის დანაყოფში გაატარა, რომელიც გორლიცედან[16] ბრესტ-ლიტოვსკისკენ[17] წარმატებით დაგვირგვინებულ გარღვევაში მონაწილეობდა. შემდეგ მათ რიგებს გრაფი ჰოლკი შეუერთდა. ეს სწორედ იმ ტიპის უნიჭიერესი, თხემით ტერფამდე პილოტი იყო, ვისთან ერთადაც მანფრედს სურდა ფრენა. მათ მრავალი სადაზვერვო გაფრენა განახორციელეს მტრის ზურგში. ჰოლკი წარმოუდგენლად ღრმად იჭრებოდა რუსების პოზიციებზე, რითიც აღაფრთოვანებდა მეწყვილეს.

უკანასკნელი დაზვერვისას, როდესაც რუსული ჯარის დანაყოფებით სავსე, ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე მიფრინავდნენ, მათ თვითმფრინავს ძრავი გაეთიშა. ინერციით ილივლივეს და ტყის მახლობლად დაეშვნენ მიწაზე. ძლივს მოასწრეს ხეებს მოფარებოდნენ, რომ დაინახეს როგორ მიირბინა ვიღაც ჯარისკაცმა მათ თვითმფრინავთან. თავიდან რუსი ეგონათ, განსხვავებული ქუდის გამო, მაგრამ მერე იცნეს პრუსიული უნიფორმა და საფარიდან გამოვიდნენ. მათდა ბედად, წარმატებით განხორციელებული შეტევის შედეგად, ფრონტის ხაზი ახლა გაცილებით შორს გადიოდა რუსების ტერიტორიაზე.

1915 წლის 21 აგვისტოს მანფრედი მოულოდნელად გადაიყვანეს დიდ საბრძოლო თვითმფრინავზე ბელგიურ ზღვისპირა ქალაქ ოსტენდეში,[18] სადაც კვლავ შეხვდა და დაუმოწაფდა გერმანელ სამხედრო პილოტს გეორგ ზოიმერს. ომის ქარცეცხლი ნაკლებად აღწევდა ფრონტის ამ ნაწილში, მაგრამ მანფრედმა ფრენის ღირებული გამოც-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

დილება მიიღო და საბრძოლო პილოტის ხელობა აითვისა.

ერთ დღესაც ზოიმერმა მეგობარს უთხრა, ახლა შენით გაფრინდიო. ერთი პირი კი გაიფიქრა მანფრედმა, მეშინიაო, „მაგრამ ეს ის სიტყვაა, რომელიც არასოდეს უნდა გამოიყენოს კაცმა, რომელიც სამშობლოს იცავს“.[19] ამიტომ, უსიტყვოდ ჩახტა კაბინაში და ვერც კი გაიაზრა ბოლომდე, როგორ აღმოჩნდა ჰაერში. ღრუბლების კამპანიაში აღტაცებამ მოიცვა. იგრძნო, რომ ვერაფერი შეაშინებდა. ბუნებრივია, პირველი დამოუკიდებელი მცდელობა მარცხით დამთავრდა, რადგან რამდენიმე შეცდომა დაუშვა და დასმისას აეროპლანი ამოუყირავდა. ორი დღის შემდეგ მეორედ სცადა. ამჯერად გაცილებით კარგად დაიმორჩილა მანქანა. 25 გაფრენა შეასრულა ორ კვირაში და გამოცდაზე გავიდა. ყველაფერი ზუსტად, ინსტრუქციის შესაბამისად გააკეთა: რამდენჯერმე მოხაზა რვიანი და მიწაზე მშვიდობიანად დაეშვა, მაგრამ მისდა გასაოცრად, უთხრეს, რომ ჩაიჭრა.

ფრენის გამოცდის გადასაბარებლად, 1915 წლის 15 ნოემბერს ბერლინში წავიდა. სწორედ იქ ყოფნისას დაასკვნა, რომ დიდი თვითმფრინავი ბრძოლაში არ გამოადგებოდა. ამიტომ, მიზნად დაისახა უფრო მოქნილი, მცირე ზომის ფოკერის[20] პილოტი გამხდარიყო და დასავლეთის ფრონტზე საომრად წასულიყო.

საბოლოოდ, მესამე ცდაზე, 1915 წლის შობა დღეს მანფრედ ფონ რიხტჰოფენმა წარმატებით ჩააბარა ფრენის გამოცდა. ამასთან დაკავშირებით, შვერინში[21] გაფრინდა, რომ თვალი შეევლო ფოკერების ქარხნისთვის. უკანა გზაზე მრავალ ადგილას დაფრინდა, მეგობრები და ნათესავები მოინახულა. ნავიგატორის გამოცდილების წყალობით, გზის გაგნება არ გასჭირვებია. ბოლოს, ბერლინში დაბრუნდა.

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

1916 წლის მარტში მანფრედი მე-2 საბრძოლო ესკადრილიას შეუერთდა და საჰაერო ბრძოლის პრაქტიკა გაიარა. გამანადგურებლის მართვა კი ისწავლა, მაგრამ საჰაერო წარმატების შანსი არა და არ ეძლეოდა. როცა 26 აპრილს ფრანგულ ნიუპორს[22] გადაეყარა, მტერმა მანფრედს თავი აარიდა. მისი გაქცევით დაინტრიგებული გერმანელი დაედევნა და ახლო მანძილიდან დამიზნებით მოკლე ჯერით გაუხსნა ცეცხლი. ნიუპორი ყალყზე შედგა და დაბზრიალდა. მანფრედმა და მისმა ნავიგატორმა იფიქრეს, რომ ფრანგი მფრინავი ტრიუკს აკეთებდა, მაგრამ მერე მისმა აეროპლანმა სიმაღლე დაკარგა და ვარდნა დაიწყო. ძრავის გრიალში შტურმანმა ყვირილით მიულოცა მანფრედს ეს გამარჯვება. დაუგეგმავად ჩამოგდებული მოწინააღმდეგის პირველი საფრენი მანქანის წყალობით, პილოტის რანგში საბრძოლო ნათლობა მიიღო. თუმცა პატაკში რიხტჰოფენის სახელი არ ახსენეს, სწორედ იმ დღეს დაიწყო წითელი ბარონის არაჩვეულებრივი ლეგენდისკენ მიმავალი მისი კარიერა.

4. მითი და რეალობა წითელ ბარონზე

ცხელი აგვისტოს ერთ საღამოს მანფრედ ფონ რიხტჰოფენი თურქეთიდან ახლადდაბრუნებულ, სახელგანთქმულ გერმანელ პილოტს, ოსვალდ ბელკეს[23] შეხვდა, რომელიც თავისი მე-2 საბრძოლო ესკადრილიისთვის პილოტებს არჩევდა. მანფრედს არც კი უფიქრია საკუთარი თავის შეთავაზება ცოცხალი ლეგენდისთვის, თუმცა ასეთი პერსპექტივა ძალიან ხიბლავდა. მეორე დილით საკმაოდ ადრე რიხტჰოფენის კარზე კაკუნი გაისმა. პურ-ლე-მერის ორდენოსანი ბელკე იყო. როდესაც მის დანაყოფში გადასვლა შესთავაზა, გახარებული მანფრედი კინაღამ

BRAMS Journal No. 5
2021 Volume 2, Issue 3/4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კისერზე ჩამოეკიდა. როგორც იქნა, დიდი ხნის სანუკვარი ოცნება აუხდებოდა.

სამ დღეში მატარებლით გაემგზავრა გერმანიის უკიდურესი აღმოსავლეთიდან დასავლეთის ფრონტზე და ხანგრძლივი, ნაყოფიერი სწავლის პერიოდი დაიწყო ბელკეს პირადი მაგალითით. ახალბედა გერმანელი პილოტების გუნდი თვალებში უყურებდა და სათაყვანო მეთაურის ყოველ სიტყვას ისრუტავდა. „ბოლო რამდენიმე დღე იყო, რაც ერთ-ორ ინგლისელს, როგორც თავად ამბობდა, „საუზმეზე მოინადირებდა“ ხოლმე“,[24] იხსენებს ავტობიოგრაფიაში მანფრედი მასწავლებლის იმდროინდელ განწყობას. ბელკეს მეთვალყურეობით, იგი სულ მალე ჩამოყალიბდა გამანადგურებლის გამოცდილ პილოტად.

1916 წლის 17 სექტემბერს მანფრედმა დაძაბული საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო მასზე აშკარად გამოცდილ ინგლისელ მფრინავს და დაზიანებული თვითმფრინავის გერმანელების ტერიტორიაზე დასმა აიძულა. აღელვებულმა თვითონაც გადაწყვიტა მიწაზე დაშვება, მაგრამ სიჩქარეში კინაღამ დაილეწა. საფრენი მანქანები ერთმანეთთან ისე ახლოს იდგა, წამში მტრის აეროპლანთან გაჩნდა. მძიმედ დაჭრილი ნავიგატორი ადგილზე გარდაიცვალა. პილოტი მოგვიანებით დაიღუპა. მისი ხსოვნის პატივსაცემად, მანფრედმა საფლავის ქვა გაუკეთა. რიხტჰოფენის ოფიციალურად რეგისტრირებულ ამ პირველ საჰაერო გამარჯვებას მალევე მიაყოლა კიდევ ოთხი თვითმფრინავის ჩამოგდება და ასის[25] ტიტული მოიპოვა.

1917 წლის დასაწყისისთვის კავალერიის ახალგაზრდა კაპიტანს უკვე მტრის 16 თვითმფრინავი ჰყავდა განადგურებული. იგი გერმანიის ყველაზე წარმატებულ პილოტად აღიარეს და 1917 წლის 16 იანვარს მე-11 საბრძოლო ესკადრილიის მეთაურად დანიშნეს. ავტობიოგრაფიაში მანფრედმა აღიარა, რომ სიხარულის ნაცვლად, გაღი-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ზიანდა ამ ამბის გამო. ჯერ ერთი, ბელკეს დანაყოფის თანშეზრდილ წევრებს უნდა გამომშვიდობებოდა და ახალ პილოტებთან სულ თავიდან აეწყო ურთიერთობა. მეორეც, მას გაცილებით ერჩია „ლურჯი მაქსის“[26] ორდენი მიენიჭებინათ, რომელიც მაქს იმელმანს[27] და ოსვალდ ბელკეს მაშინ მისცეს, როცა მათ მტრის რვა-რვა თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მანფრედის ანგარიშზე უკვე ორჯერ მეტი საჰაერო წარმატება ირიცხებოდა, მაგრამ სანუკვარი და ორგზისდამსახურებული ორდენი არსად ჩანდა.

ორი დღის შემდეგ გენშტაბიდან ტელეგრამა მოვიდა, სადაც ეწერა, რომ მისმა უდიდებულესობამ გერმანიის უმაღლესი სამხედრო ჯილდო „ლურჯი მაქსი“ გადასცა ბარონ ფონ რიხტჰოფენს ბრძოლაში გამოჩენილი სიზუსტისათვის.[28] 24 წლის მანფრედის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამის შემდეგ ბოლომდე გაუგო გემო პილოტების საკუთარი გუნდის მეთაურობას და სრულად განიცადა სიამაყე რიხტჰოფენის ესკადრილიის არსებობის გამო.

სწორედ ამ პერიოდში გადაღება თავისი საბრძოლო თვითმფრინავი ალბატროს D-III[29] წითლად. მანფრედს სურდა, თვალშისაცემი შეფერილობის დახმარებით მტერმოყვარეს შორიდანვე იოლად ამოეცნო მისი აეროპლანი. გამორჩეულმა ფერმა წარმოშვა არაერთი მეტსახელი: „წითელი ბარონი“, „წითელი რაინდი“, „წითელი საბრძოლო მფრინავი“, „წითელი გამანადგურებელი“, „წითელი დემონი“ და „პეტი-რუჟი“.[30] ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მანფრედი სახალისო ეპიზოდს იხსენებს ავტობიოგრაფიაში.

ერთ დღეს ფრონტის სრულიად სხვა მონაკვეთზე ბრძოლის დროს, ვიკერსის[31] ორადგილიან თვითმფრინავს გაარტყა, რომელიც გერმანული არტილერიის ადგილმდე-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ბარეობის ფოტოგრაფირებით იყო დაკავებული. დაზვერვით საქმიანობაში გართულ მტერს თავდაცვისთვის დრო აღარ დარჩა. სასწრაფოდ მიწაზე უნდა დაშვებულიყო, სანამ ცეცხლის ალში გაეხვეოდა. მანფრედს მოწინააღმდეგე შეეცოდა, რადგან იფიქრა, რომ პილოტი დაჭრილი უნდა ყოფილიყო, რახან ერთხელაც არ გაუსვრია საპასუხოდ. ამიტომ, ჩამოგდების ნაცვლად, გადაწყვიტა იძულებით დაფრენა ეცლია მისთვის. როდესაც დაახლოებით 500 მეტრის სიმაღლეზე დაეშვა, „წითელი ბარონის“ ძრავას პრობლემა გაუჩნდა და მოხვევის გარეშე მოუწია მიწაზე დაშვება. „შედეგი ძალიან სასაცილო გამოვიდა. ჩემი მოწინააღმდეგე თავისი დამწვარი მანქანით დაუბრკოლებლად დაჯდა, მე კი, მასზე გამარჯვებული, მის გვერდით ჩვენივე სანგრების მავთულხლართებში დავეშვი და თვითმფრინავი ამომიტრიალდა“.[28] რადგან მისთვის არ უსვრია, მტერი გაოცებული დარჩა მოწინააღმდეგის ერთი შეხედვით უმიზეზო მოუხერხებლობით. „ეს პირველი ორი ინგლისელი იყო, ვინც ცოცხლად ჩამოვიყვანე ძირს. ამიტომ მათთან საუბარმა განსაკუთრებული სიამოვნება მომანიჭა. ვკითხე, ადრეც ხომ არ ენახათ ჩემი მანქანა ჰაერში. ერთ-ერთმა მიპასუხა: როგორ არა. კარგად ვიცი თქვენი თვითმფრინავი. ჩვენ მას პეტი-რუჟს ვეძახითო“.[28]

მე-11 სამხედრო ესკადრილიის სხვა წევრებმაც შეღებეს თავიანთი თვითმფრინავის კორპუსის დეტალები წითლად. ამით სურდათ, მათი ლიდერი ნაკლებად გამორჩეული ყოფილიყო საჰაერო ბრძოლის დროს და მისი დამარტოხელების შესაძლებლობა არ გასჩენოდა მტერს. ასე გახდა რიხტჰოფენის დანაყოფის საიდენტიფიკაციო ნიშანი ჟოლოსფერი. მათ მაგალითს გერმანიის საიმპერატორო არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების დანარჩენმა დანაყოფებმაც მიბაძეს და ინდივიდუალური ფერები შე-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

არჩიეს. ეს ცალსახად არღვევდა დაზვერვასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ნორმებს, მაგრამ გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ თვითმფრინავების ფერებით განსხვავების ნება მაინც დართო პილოტებს. გერმანულმა პროპაგანდამ სათავისოდ გამოიყენა მომხდარი და ბარონი ფონ რიხტჰოფენი „წითელ გამანადგურებლად“[32] მონათლა.

4.1. არცთუ მთლად მტრული მტერი

მანფრედის სამხედრო-საჰაერო დანაყოფი ბელკეს ესკადრილიას ემეტოქებოდა, მაგრამ ჩამოგდებული მტრის რაოდენობით ყოფილი შეგირდი ჯერჯერობით აგებდა. შედეგი იმაზე იყო დამოკიდებული, რომელი მოწინააღმდეგე შეხვდებოდა: „ფრანგი ეშმაკუნები თუ ის გაბედული ონავრები, ინგლისელები. ამ ორში, ინგლისელები მირჩევნია. ხშირად მათი გაბედულება სისულელის დონემდე ადის. თვითონ მიაჩნიათ ვაჟკაცობად და გაბედულებად... ჩემი აზრით, თავდასხმის სული წყვეტს ყველაფერს და ეს გერმანელებს ყველაზე ძლიერად გვახასიათებს. ამიტომაც ყოველთვის შევძლებთ ჰაერში უპირატესობის შენარჩუნებას... ფრანგული თავდასხმის სული ბოთლის ლიმონათს ჩამოჰგავს. შეუპოვრობა აკლია. რაც შეეხებათ ინგლისელებს, მათ გერმანული სისხლი ემჩნევათ; მაგრამ ფრენას მხოლოდ და მხოლოდ სპორტად თვლიან. სიამოვნებთ მარყუჟის გაკეთება, ზურგზე ფრენა და სხვა ტრიუკების კეთება სანგრებში ჩასაფრებული ჩვენი ჯარისკაცების გასახარად. ასეთ ხრიკებს შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია სპორტული შეჯიბრის დროს და არა – ფრონტზე“.[28]

1917 წლის მარტის შუა რიცხვებში მანფრედმა, მისივე თქმით, სიკვდილს ჩახედა თვალებში. გერმანელებს ხუთი თვითმფრინავისგან შემდგარი გუნდი ჰყავდათ იმ

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

დღეს, ინგლისელები სამჯერ მეტნი იყვნენ. ორივე მხარე შეტევისთვის იყო განწყობილი: გერმანელები სულიერი, ხოლო ინგლისელები ფიზიკური უპირატესობის გამო. ჯენტლმენებმა სიტუაცია შეაფასეს თუ არა, მაშინვე თავს დაესხნენ გერმანელებს.

მანფრედი ერთ-ერთს დაედევნა. ოპონენტს ნერვებმა უმტყუნა, ნაადრევად გახსნა ცეცხლი. „მიდი, მესროლე. მაინც ვერ მომახვედრებ“, ჩაღიმა ბარონს. უეცრად საშინელი ბათქის ხმა შემოესმა და საწვავის სუნი იგრძნო. ინგლისელმაც შენიშნა, რომ მოახვედრა სამიზნეს და გაათკეცებული ენთუზიაზმით განაგრძო თავდასხმა. რიხტჰოფენს სროლის თავი აღარ ჰქონდა. სასწრაფოდ ძრავა გამორთო, სანამ მისი თვითმფრინავი მოწყვეტით ეშვებოდა ძირს. აფეთქების ალბათობა დიდი იყო. გრძნობდა, როგორ ესხმებოდა ფეხებზე 150-საათიანი ფრენისთვის განსაზღვრული საწვავის მარაგი. ერთი წვეთიც რომ მოხვედროდა გავარვარებულ ძრავას, მთელი მანქანა ცეცხლში მყისიერად გაეხვეოდა. თეთრი კვამლის ვიწრო კუდი – მომავალი აფეთქების პირველი ნიშანი, უკან რჩებოდა „წითელ ბარონს“. 3 ათასი მეტრის სიმაღლიდან ვარდნა საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა. ამასობაში, უყურებდა როგორი გააფთრებით ებრძოდნენ მისი ამხანაგები მტერს. როცა 300 მეტრის სიმაღლეზე აღმოჩნდა, ოსტატურად დასვა „პეტი-რუჟი“ მომცრო მდელოზე. რადგან ძრავაჩამქრალ, დაცხრილულ და კონტროლდაკარგულ თვითმფრინავში გამობუგვას გადაურჩა, მანფრედი თავს „ჩამოგდებულად“ არ თვლიდა.

4.2. რიხტჰოფენის მფრინავი ცირკი

1917 წლის აპრილ-მაისში მიმდინარე არასის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რიხტჰოფენის წი-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

თელმა ესკადრილიამ. მხოლოდ აპრილის თვეში თავად მანფრედმა 22 ბრიტანული მფრინავი ხომალდი გაანადგურა, აქედან ოთხი, ერთ დღეში. საერთო ჯამში, წითელი ბარონის ანგარიშზე უკვე 52 საჰაერო გამარჯვება ირიცხებოდა.

24 ივნისს მე-4, მე-6, მე-10 და მე-11 საბრძოლო ესკადრილიათა გაერთიანებით მანფრედ ფონ რიხტჰოფენმა შექმნა 1-ლი ესკადრა, რომლის მეთაურიც თავად გახდა. სრული კარტ-ბლანშის მქონე ბარონმა სათითაოდ შეარჩია მფრინავები თავისი პოლკისთვის. შედეგად ელიტარული შენაერთი მიიღო, თუმცა, დანარჩენი ქვედანაყოფების ეფექტურობა საგრძნობლად შეამცირა. 1-ლი ესკადრის გამორჩეულობაც პერიოდულად სუსტდებოდა, რადგან ესკადრილიათა გაორმაგებული რაოდენობის (40-დან 80-მდე) გამო, რიხტჰოფენის პოლკის წევრ მეთაურებს საკუთარი ესკადრილიების სახელმძღვანელოდ უწევდათ ხოლმე გაფრენა.

მეტი მობილობისათვის, 1-ლი ესკადრა ხშირად გადაადგილდებოდა რკინიგზის საშუალებით, როგორც ცირკი-შაპიტო. პილოტებს საკუთარი თვითმფრინავების ახლოს, იმპროვიზირებულ აეროდრომებზე სახელდახელოდ გაშლილ კარვებში ეძინათ, რომ ბრძანების მიღებისთანავე მინიმალურად მცირე დროში მიერბინათ შტურვალთან. თანაც მათი სამხედრო შენაერთის თვითმფრინავები თვალშისაცემად იყო მოხატული წითელი საღებავით. ამ მიზეზთა გამო, გერმანიის 1-ლ ესკადრას „მფრინავ ცირკს“ ანდა „რიხტჰოფენის ცირკს“ უწოდებდნენ იუმორით.

როგორც პოლკის მეთაური, მანფრედი უკვე ვიცე-პოლკოვნიკის მოვალეობებს ასრულებდა, მაგრამ მისი სამხედრო წოდება ძველებურად კაპიტანი იყო. გერმანულ არმიაში წოდებრივი წინსვლა მკაცრად განსაზღვრული

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

წესით მიმდინარეობდა და არა – ბრძოლის ველზე გამოჩენილი დამსახურების შესაბამისად. ამას გარდა, ტრადიციის თანახმად, შვილს არ ანიჭებდნენ მამამისზე მაღალ ჩინს. უფროსი რიხტჰოფენი კი რეზერვის მაიორი[33] იყო.

4.3. წიგნი ცენზურის დაკვეთით

1917 წლის 6 ივლისს ბრიტანეთის სამეფო ავიაციის მე-20 ესკადრილიასთან ბრძოლის დროს მანფრედი მძიმედ დაიჭრა თავში, რამაც ხანმოკლე დეზორიენტაცია და ნაწილობრივი სიბრმავე გამოიწვია. საბედნიეროდ, პილოტს ცნობიერება დროულად დაუბრუნდა. მან თვითმფრინავის თავისუფალი ვარდნიდან გამოყვანა და მეგობრულ ტერიტორიაზე დასმა შეძლო. თავის ქალადან ძვლის ნამსხვრევების ამოსაღებად კაპიტანს რამდენიმე ოპერაცია დასჭირდა. ჭრილობა მოუშუშდა, მაგრამ ინციდენტს უკვალოდ არ ჩაუვლია: ფრენის შემდგომ ხშირი გულისრევა და თავის ტკივილი დასჩემდა. ექიმის რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ, მანფრედი 25 ივლისს დროებით დაბრუნდა ფრონტზე. თუმცა, რეაბილიტაციის მიზნით, მალევე აიღო შვებულება 5 სექტემბრიდან 23 ოქტომბრამდე. ამ პერიოდში ავტობიოგრაფიული თხზულება „წითელი გამანადგურებელი“ დაასრულა. უკვე 1918 წელს გამოიცა გერმანული მემუარების ინგლისური თარგმანი, რომელიც ჯ. ელის ბარკერმა შეასრულა.

ეს წიგნი მანფრედმა ლუფტშტრაიტკრეფტეს პრესისა და დაზვერვის (ანუ პროპაგანდის) განყოფილების დავალებით დაწერა. შემდეგ დედანს სერიოზული ცენზურა და რედაქტირება გაუკეთეს. ზოგიერთ თანამედროვეს მიაჩნია, რომ მანფრედი უკმაყოფილო დარჩა ტექსტით.[34] ამ მოსაზრების დასტურად, ისინი იმოწმებენ ავტორის სიტყვებს: „წიგნი სილაღით სავსე გამოვიდა... იგი კი ასეთი

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

აღარ იყო“.[34] ასევე, მოჰყავთ დედამისის მოსაზრებები შვილზე დაწერილი მოგონებების წიგნიდან.

ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ავტორს შეეძლო გულისწყრომა გამოეხატა, ცენზურის მიერ მისი ნაფიქრისა და ნამოქმედარის „შელამაზება“ იქნებოდა. ქედმაღლობის ნატამალი არ გააჩნდა და საკუთარ თავს ასეთად რატომ ჩათვლიდა. მეგობრების, კოლეგებისა თუ მტრების მოგონებები უკიდურესად ღირსეულ პიროვნებას წარმოაჩენს. თანამედროვენი ცალსახად აღნიშნავდნენ მანფრედისადმი არსებულ საყოველთაო, ღრმა პატივისცემას. ღირსეული მტრობის ნიმუშებით სავსეა ბარონის სამხედრო კარიერა.

1925 წლის დეკემბერში ბრიტანელმა სამხედრო მფრინავმა, თომას მარტინმა ჟურნალ „ტაიმის“ კორესპონდენტთან საუბარში გაიხსენა ლეგენდარული გერმანელი მფრინავი და ერთი მოკლე ეპიზოდით აჩვენა რიხტჰოფენის პიროვნული თვისებების მთელი პალიტრა. ამბავი გახაზავს, თუ რა დიდბუნებოვანი და ჰუმანური ხასიათის მქონე ახალგაზრდა კაცთან ჰქონდათ საქმე მისი სამშობლოს მტრებს. „ფონ რიხტჰოფენს ბრიტანელი ავიატორები ძალიან აფასებდნენ, რადგან პატიოსნად იბრძოდა და არაფრის ეშინოდა... მისი ჩინებული სპორტული სულის ნიმუშად, მაიორმა პატრიკმა მიამბო, რომ ერთხელ მასთან ორთაბრძოლის დროს ვაზნები გამოელია. რიხტჰოფენს გაცილებით სწრაფი თვითმფრინავი ჰყავდა და ამიტომ პატრიკის ბედი მთლიანად მის ხელში იყო; მაგრამ როცა იგი მიხვდა, პატრიკს სროლა აღარ შეეძლო, მასთან ახლოს მიფრინდა, ხელი დაუქნია და გერმანელთა პოზიციებისკენ გაბრუნდა“.[35]

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

4.4. რეალობაზე ჩაფიქრება

ყოველივეს გათვალისწინებით, მეტი ყურადღებაა საჭირო რიხტჰოფენის წიგნის ინტერპრეტაციისას, რომ თარგმანში არ დაიკარგო. ავტორისთვის განსაკუთრებით გულსატკენია, თუ მის სწორად ნათქვამს უკუღმა იგებს მკითხველი. ეს თვალშისაცემია ავტობიოგრაფიის ინგლისური[34] და რუსული[24] თარგმანების შედარებისას გერმანულ დედანთან.[36]

განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ესეის „სანგრის ანარეკლები“[37] აღქმას. მინიატურული პროზის ეს ნიმუში ურთიერთგამომრიცხავი მილიტარისტულ-პაციფისტური თვალთახედვების ფილოსოფიური განსჯაა, თანაც გენიალური. მანფრედის შედევრის გაგება ძნელია, როცა ბრძოლების ქარცეცხლი არ გამოგივლია და „აელვებული“[38] სამშობლოს ტკივილი არ გიგრძვნია. მკითხველმა ჯერ ის უნდა გაიაზროს, როდის და რაგვარ რეალობაში წერს აღნიშნულ სტრიქონებს ავტორი – ხანგრძლივი ომის დასასრულს, როდესაც ქვეყნის ბედი გადაწურულია და მის განწირულობას ყოველწამიერად უყურებს სამხედროს შეუფერადებელი, რეალისტური თვალით. ამ ფონზე განსჯის და გადააფასებს საკუთარ ყმაწვილურ აღტაცებას, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში რომ ენერგიით ავსებდა, ქმედებისკენ უბიძგებდა: „ეს მშვენიერი ხანა იყო. მას მერე, რაც კავალერისტებს მტერთან უკვე გვქონდა შეხება და ომს თვალი შევავლეთ, სხვა ჯარისკაცებს ჩვენი შურდათ. ჩემთვის ეს ომის საუკეთესო მონაკვეთს წარმოადგენდა. მთელი გულით ვისურვებდი ომის დასაწყისის ხელმეორედ გავლას“.[7] მართალია, ამ სტრიქონებისა და „სანგრის ანარეკლების“ დაწერას შორის სამი წელიწადიც არ გასულა, მაგრამ ომის დროს ერთი დღე ხომ საუკუნეს უდრის. ესეც გასათვალისწინებელია მანფრედის გულისთქმის ამოსაცნობად.

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მხიარული, უდარდელი და ოპტიმიზმით აღსავსე ყმაწვილი შეუმჩნევლად ჩაანაცვლა გონებრივად დაბერებულ-დაბრძენებულმა ახალგაზრდა კაცმა. სწორად გამოიცნო დედამისმა: „ის სერიოზული იყო, ძალიან სერიოზული და მდუმარე. მანფრედი ძალიან შეცვლილი მეჩვენა, რაღაცნაირად. თუმცა გარეგნულად გაცილებით ჯანმრთელად და ნორჩად გამოიყურებოდა, ვიდრე შემოდგომაზე შვებულებით შინ ყოფნისას. ახლა მის ხასიათს აღარც სიმხნევე, აღარც სიხალისე და აღარც სილაღე არ ეტყობოდა. გაყუჩებული, დისტანციური, თითქმის, უკარება გამხდარიყო“.[39] ბარონესას ამ ცვლილების მიზეზი აინტერესებდა. ერთი ფიქრი სდევდა თან და მონოტონური ქრონიკულობით აწვალებდა, მაგრამ უწინდებურად აღარ ჩაეძია შვილს.

მშობლის გონებამ თუ ბოლომდე და სრულყოფილად ვერ შეიცნო, დედის გული უტყუარად მიუხვდა საფიქრალის სიმძიმეს: „მგონი, მან ზედმეტად ბევრჯერ იხილა სიკვდილი“.[39] ბარონესა ჯგუფურ ფოტოს ჩაჰყურებდა. ყველას ამბავი იკითხა, პასუხად კი „სიკვდილის“ სინონიმების კასკადი მიიღო: „გმირულად დაეცა“, „გაღმა გავიდა“, „დაიღუპა“, „გარდაიცვალა“, „სული დალია“, „ჩამოვარდა“, „დაგვტოვა“, „წავიდა“...

ბოლო სამი წლის განმავლობაში მანფრედს სათითაოდ შემოეცალა ესკადრილიის თანშეზრდილი თანამებრძოლები. თითქოს, ბედისწერა განკარგავდა: 25 წელს არ უნდა გადაებიჯებინა არცერთს. თუმცა, იყო გამონაკლისიც – უფროსმა ლეიტენანტმა გეორგ ზოიმერმა 27 წლამდე იცოცხლა.

წითელი ბარონიდა შემორჩა ზეცას.[13] აღარც მისი მასწავლებლები, აღარც სათაყვანო კოლეგები არ დაუტოვა განგებამ. ომის კვამლმა შთანთქა სუყველა და კენტად დარჩენილს თვალი აუწვა. მეფე კიროსის უკვდავთა

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ასეულივით, ერთ დაღუპულს მყისვე მეორე ანაცვლებდა ესკადრილიაში, სათვალავში რომ არ დაკლებოდა. უცხოსთვის სტატისტიკა, მისთვის ძვირფას ადამიანებს წარმოადგენდა. რიხტჰოფენი თბილი და მოსიყვარეულე გულის პატრონი იყო. სხვის სიცოცხლეს უფრთხილდებოდა. თუნდაც მომხდური მტრის შეცოდება და დანდობა შეეძლო.

ძველ კავალერისტს საკუთარი ცხენებიც კი ზედმიწევნით დეტალურად ახსოვდა:

- მამის ნაჩუქარი, ჩამკვრივებული ფაშატი სანტუცა მეტრანახევარზე ხალისით ხტებოდა და უფრო დიდ სიმაღლეებსაც შესწვდებოდა, ფეხი რომ არ გადაბრუნებოდა...
- ჭენების მოყვარული ფელიქსი წინდაუხედავმა პატრონმა გადაახტუნა მდინარეში და მერე ორივემ სხვადასხვა ნაპირზე ამოყო თავი...
- წმინდა სისხლის ბლუმე უშეცდომოდ ასრულებდა ყოველ ილეთს და მრავალი წარმატება მოუტანა მხედარს...
- ტანმცირე ბიფი ჯირითისთვის გაეჩინა დიდის ღმერთს და თავის ნამდვილ ასაკზე ორჯერ ახალგაზრდად იოლად გაასაღა გადამყიდველმა.

ნამდვილი ლიონის ძმადნაფიცებივით ჰყავდა თითოეული თვითმფრინავი. მათ დაზიანებას ძალიან განიცდიდა ხოლმე. თავის წითლადმოხატულ უკანასკნელ „ფოკერზე“ ბოლომდე იზრუნა და მიწაზე უხიფათოდ დასვა, მაგრამ ავსტრალიელმა ჯარისკაცებმა დაშალეს და სუვენირებად დაიტაცეს...

ლეგენდა „წითელ ბარონზე“ სახალისო საკითხავია, რეალურ კაპიტან ფონ რიხტჰოფენამდე კი გართობის ბილიკები ვერ მიგვიყვანს.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

...ერთხელ ლამპა გააკეთა მის მიერ ჩამოგდებული თვითმფრინავის ძრავისგან და სანგრის ჭერზე დაკიდა. ცილინდრებში ჩამაგრებული პატარა ნათურებიდან გამომავალი სინათლის სხივები გროტესკულად ირეკლებოდა მიწურის კედლებზე. მსგავსი მიზნით ედო ზემო და ქვემო ეგვიპტის ფარაონს ადამიანის თავის ქალა სამეფო ლხინის სუფრაზე...

უძილო ღამეებში მანფრედზე ზებუნებრივად მოქმედებდა უჩვეულო სანათის ლიცლიცი. მისი ყურებისას გუგები უფართოვდებოდა და დაბინდული მზერა აზრით ეცვლებოდა. „როცა ასე ვწევარ, საფიქრალი ბლომად მიგროვდება. ყოველ აზრს კი ვიწერ, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, ჩემი უახლოესი ნათესავების გარდა, სხვაც თუ წაიკითხავს ამას ოდესმე. „წითელი გამანადგურებლის“[40] გაგრძელებაზე ვფიქრობ და ნამდვილად მაქვს საამისო მიზეზი. ბრძოლა, რომელიც ახლა ფრონტის მთელ ხაზზეა გაჩაღებული, უკიდურესად სერიოზული გახდა; აღარაფერი დარჩა იმ „ნორჩი, მხიარული ომიდან“, როგორც ჩვენს მოქმედებებს უწოდებდნენ დასაწყისში. ახლა ყველაზე სასოწარკვეთილ სიტუაციას უნდა გავუმკლავდეთ, რომ მტერი ჩვენს მიწა-წყალზე არ შემოიჭრას. ამიტომაც არ მსიამოვნებს, რომ საზოგადოებას სულ სხვა რიხტჰოფენი წარუდგინეს და არა ნამდვილი. როცა კი ჩემს წიგნს ვკითხულობ, მის ზედმეტად თვითდაჯერებულ ტონზე მეღიმება. უკვე აღარ მაქვს მსგავსი სილაღე. განა მეშინია, თუმცა სიკვდილი შესაძლოა ფეხდაფეხ დამდევს და ამაზე ხშირადაც მიფიქრია. უფროსობამ მირჩია, შევწყვიტო ფრენა, რომ მავნე გავლენა არ იქონიოს ჩემზე; მაგრამ საკუთარი თავი შემზიზღდება თუ ახლა, როცა ცნობილი გავხდი და უხვადაც დამაჯილდოვეს, დამსახურებული პენსიონერივით ცხოვრებას დავთანხმდები და ჩემს ძვირფას სიცოცხლეს ერის საკეთილდღეოდ შემო-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ვინახავ მაშინ, როცა სანგარში მყოფი თითოეული ყმაწ-ვილი საკუთარ მოვალეობას ჩემზე არანაკლებ ღირსეულად ასრულებს და სიცოცხლეს რისკავს. ყოველი საჰაერო ბრძოლის შემდეგ საშინლად ვარ. ეს, ალბათ, ჩემი თავში დაჭრის თანმდევი გვერდითი მოვლენაა. როდესაც კვლავ მიწაზე ვდგამ ფეხს, საკუთარ ბარაკში განვმარ-ტოვდები ხოლმე და არც ვინმეს დანახვა, არც რაიმეს გაგონება არ მსურს. ომზე რეალისტურად ვფიქრობ და არა „ვაშათი და ყიჟინით“, როგორც შინ დარჩენილ ადა-მიანებს წარმოუდგენიათ; ომი ხომ გაცილებით სერიოზუ-ლი და სასტიკია“.[37]

პირველი მსოფლიოს ქარცეცხლით გამოწვეულ „სანგრის ანარეკლებში“, ვაითუ, ახალი ფრანც კაფკა და-კარგა მდიდარი ლიტერატურით განებივრებულმა გერმა-ნიამ. მანფრედი ამბობდა, ომის დამთავრების შემდეგ სამ-წერლო კარიერას სერიოზულად უნდა მოვკიდო ხელიო. მის ნააზრევს საუკუნის შემდეგაც ინტერესით კითხულო-ბენ და გული წყდებათ, ჩვენთვის მეტის თქმა რომ არ დასცალდა. კიდევ იმაზეც, ეჭვი რომ ეპარებოდა მისი სტრიქონებისადმი ფართო მკითხველის მხრიდან ინტერე-სის არსებობაში. წითელი ბარონის პიროვნებისადმი ყუ-რადღებას არათუ მის სამშობლოში, ყოფილი ანტანტის ქვეყნებსა და კიდევ უფრო შორეულ საზოგადოებებში იჩენენ მესამე ათასწლეულის დამდეგს.

5. ლეგენდის მარადიულობა

1918 წლის 21 აპრილს, კვირა დილის[41] 11-ის ნახე-ვარზე კაპიტანი რიხტჰოფენი მდინარე სომის ხეობაში მიფრინავდა და ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალების 209-ე ესკადრილიის დამწყებ პილოტს, ლეიტენანტ უილ-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ფრიდ მეის მისდევდა სროლა-სროლით. ეს შეამჩნია მეის სკოლის მეგობარმა და იმჟამად მეთაურმა, კანადელმა კაპიტანმა არტურ როი ბრაუნმა. მისი ხანმოკლე შეტევა მანფრედმა მოიგერია და პირვანდელ სამიზნეს დაუბრუნდა.

12 ახალდაწყებული იქნებოდა, როდესაც ინგლისური შაშხანიდან გასროლილი უნიტარული ვაზნის – .303 ბრიტანულის საბედისწერო ერთი ტყვია მოხვდა. მძიმედ დაჭრილმა პილოტმა თავისი წითელი „ფოკერის“ ნაჩქარევად, თუმცა სრული კონტროლით დასმა შეძლო ავსტრალიის სამხედრო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. როდესაც მტრის ჯარისკაცებმა მასთან მიირბინეს, მოწმეთა ჩვენებით, რიხტჰოფენმა რამდენიმე წუთი კიდევ იცოცხლა. მის მიერ წარმოთქმული ბოლო რამდენიმე სიტყვიდან მხოლოდ ერთი – kaputt[42] გაარჩიეს, როგორც სერჟანტი ტედ სმაუტი იხსენებდა მოგვიანებით. პირველი მსოფლიო ომი 1918 წლის 11 ნოემბერს, იმ ტრაგიკული დღიდან, დაახლოებით, ნახევარ წელიწადში დამთავრდა.

ლეგენდარული პილოტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ვერ ზუსტდება. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე კაპიტან ბრაუნს ერგო სახელგანთქმული გერმანელი მტრის ჩამოგდების პატივი, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, საბედისწერო ტყვია მანფრედს ჰაერიდან მოხვდა თუ ხმელეთიდან. ბრაუნი მას ესროდა უკნიდან, ზემოდან და მარცხნიდან, რიხტჰოფენს კი ტყვია მარჯვნიდან მოხვდა.[43] ამას გარდა, ბრაუნის ბოლო გასროლიდან კიდევ ორი წუთი იფრინა ბარონმა, რასაც ვერ შეძლებდა, უკვე რომ ყოფილიყო ისე სერიოზულად დაჭრილი. მკვლევრების ვარაუდით, ავსტრალიური სახმელეთო ძალების მიერ გახსნილ საარტილერიო ცეცხლში დაიჭრა რიხტჰოფენი, რომელსაც და-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ბალ სიმაღლეზე მიჰყავდა წითელი ტრიპლანი.[44] ყველაზე რეალისტური უნდა იყოს სერჟანტ სედრიკ პოპკინის[45] მიერ მარჯვნიდან გახსნილი ცეცხლის ვერსია, რადგან გასროლის მანძილიცა და კუთხეც ადასტურებს ასეთი ვარაუდის სისწორეს.

წითელი ბარონის დასაფლავებას ორგანიზება გაუწია მაიორმა ბლეიკმა. ავსტრალიის მე-3 ესკადრილიის ჯარისკაცების მონაწილეობით მოეწყო დაკრძალვის ცერემონია ქრისტიანული წესის აგებით და სრული სამხედრო პატივით, რაც ტრადიციული სალუტით დასრულდა.[46] მოკავშირეთა ახლომახლო მდებარე ესკადრილიებმა სამგლოვიარო გვირგვინები გამოგზავნეს. ერთ-ერთ მათგანზე ეწერა: „ჩვენს გალანტურსა და ღირსეულ მეტოქეს“.[47]

მანფრედ ფონ რიხტჰოფენი ქალაქ ამიენის მახლობლად დაასაფლავეს 22 აპრილს, ხოლო 1925 წელს ბოლკო ფონ რიხტჰოფენმა უფროსი ძმა გერმანიაში გადაასვენა. ოჯახს საგვარეულო სასაფლაოზე, მამისა და ლოთარის გვერდით ჰქონდა განზრახული მისი დაკრძალვა. თუმცა, გერმანიის მთავრობის თხოვნით, ეროვნული გმირის სამუდამო განსასვენებლად ბერლინში მდებარე ინვალიდენფრიდჰოფი[48] შეირჩა, მრავალი ეროვნული სამხედრო გმირის გვერდით. საბოლოოდ, 1975 წელს ქალაქ ვისბადენის სამხრეთ სასაფლაოზე (ზუდფრიდჰოფი) გადაასვენეს მისი და-ძმის – ბოლკოსა და ილზეს გვერდით.[49]

საუკუნეზე მეტი გავიდა მანფრედ ფონ რიხტჰოფენის გარდაცვალებიდან. სამყარომ პირველზე სისხლისმღვრელი, გაცილებით მასშტაბური მეორე მსოფლიო ომი და მრავალი სამხედრო კონფლიქტი გამოიარა. მუდმივად იგრძნობა ახალ-ახალი ინტერვენციის საფრთხე დედამიწის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში. თანამედროვე რეალობაში დრონებით წერტილოვანი დამიზნების ტექნიკურმა საშუალებებმა, დისტანციური ბრძოლისა თუ ბიოლოგიუ-

BRAMS Journal No. 5 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

რი ომის ვარიანტებმა რადიკალური სიახლეები დანერგა და გაამრავალფეროვნა ბოროტების არჩევანი. ამ ყველაფრის ფონზე, საჰაერო ბრძოლების პიონერის, ლეგენდარული წითელი ბარონის გახსენება, რომელმაც ღირსეული მტრობაც იცოდა, მოწინააღმდეგის დანდობაც და რკინის ნერვებით, უემოციოდ სამხედრო მისიის შესრულება, უმთავრეს საკითხზე დაგვაფიქრებს: ვიღაცებს რომ ომი არ დაეწყოთ მსოფლიოს ხელახლა გადასანაწილებლად, მანფრედის მსგავსი ნიჭიერი ახალგაზრდების შემართება და ღირსება რამდენად წასწევდა წინ სამყაროს. ასეთები ხომ ფრონტის ორივე მხარეს იდგნენ – ტყვესთან ქეიფი, ნადირობა და ჩოგბურთის თამაში ერჩიათ ერთმანეთის დახოცვას,[35] მაგრამ სადღაც მიუწვდომლად მაღლა წყდებოდა მათი ბედი მათდა დაუკითხავად.

ლიტერატურა ▫ References

1. *Manfred, baron von Richthofen: German aviator* (28 April 2021). Encyclopedia Britannica, The Editors of Encyclopaedia [britannica.com].
2. კალანდაძე ანა (1982). ფეხი დამადგით (ლექსი). Film Archive of Georgia, Uploaded on 15 Dec 2016 [youtube.com/watch?v=VzZnsciiD_Q].
3. Franks, Norman, Hal Giblin, Nigel McCrery (2007). *Under the Guns of the Red Baron: The Complete Record of Von Richthofen's Victories & Victims Fully Illustrated*, ISBN-13: 978-1904943976
4. *Red Baron* (21 August 2018). A&E Television Networks [history.com].
5. პრინცი ფრიდრიხ კარლ ჰესენ-კასელ-რუმპენჰაიმი (1868-1940) – პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ III-ის შვილთაშვილი დედის, მარია ანა პრუსიელის მხრიდან, გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II-ის სიძე, მარგარიტა პრუსიელზე ქორწინების გზით.
6. სილეზია, შლეზია (ლათ., ინგლ., ესპ. Silesia, გერმ. Schlesien) – ისტორიული რეგიონი ცენტრალურ ევროპაში. ძირითადად, პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. მცირე ნაწილი ეკუთვნის გერმანიასა და ჩეხეთს.
7. *Richthofen* (1917). The Red Fighter Pilot, Chapter 2 – The Outbreak of War [wtj.com/archives/richthofen/richthofen_02.htm].
8. Gibbons, Floyd (2016). *The Red Knight of Germany: The Story of Baron von Richthofen, Germany's Great War Bird*, Arcadia Press, p. 12.
9. კელცე (პოლონ. Kielce, გერმ. Kieltze) – ქალაქი პოლონეთში.

10. ბაუზენდორფი (გერმ. Bausendorf) – ბერნკასტელ-ვიტლიხის რაიონის მუნიციპალიტეტი დასავლეთ გერმანიაში. [bausendorf.de].
11. არლონი (ინგლ., ფრანგ. Arlon, გერმ., ლუქს. Arel) – ვალონიის მთავარი ქალაქი და მუნიციპალიტეტი [arlon.be].
12. *Richthofen* (1917). The Red Fighter Pilot, Chapter 3 – Boredome Before Verdun [wtj.com/archives/richthofen/richthofen_03.htm].
13. *Richthofen* (1917). The Red Fighter Pilot, Chapter 4 – In the Air [wtj.com/archives/richthofen/richthofen_04.htm].
14. ბეორგ ზეიმერი (Georg Zeumer, 1890-1917) – გერმანელი სამხედრო მფრინავი პირველი მსოფლიო ომის დროს.
15. *August von Mackensen* (2 December 2021). Encyclopedia Britannica, The Editors of Encyclopaedia [britannica.com].
16. ბორლიცე (პოლონ. Gorlice) – პატარა ქალაქი პოლონეთში.
17. ბრესტი, ყოფ. ბრესტ-ლიტოვსკი (ინგლ. Brest-Litovsk) – ქალაქი ბელარუსის სამხრეთ-დასავლეთში, პოლონეთის საზღვართან.
18. ოსტენდე (გერმ., ფრანგ., დასავლეთ ფლანდრ. Ostende) – ქალაქი და მუნიციპალიტეტი ბელგიის ფლანდრიულ რეგიონში.
19. *Richthofen* (1917). The Red Fighter Pilot, Chapter 5 – My First Solo-Flight (10th October 1915) [wtj.com/archives/richthofen/richthofen_05.htm].
20. ფოკერი (Fokker) – თვითმფრინავთსამშენებლო კომპანია 1912-1996 წლებში, დააარსა ანტონი ფოკერმა [fokkerservices.com].
21. შვერინი (გერმ. Schwerin) – გერმანული ქალაქი [schwerin.de].
22. ნიუპორი (ფრანგ. Nieuport) – თვითმფრინავი, უშვებდა 1902-1932 წლებში არსებული ფრანგული საავიაციო კომპანია.
23. ოსვალდ ბელკე (Oswald Boelcke, 1891-1916) – გამოჩენილი გერმანელი სამხედრო პილოტი, „გერმანული საბრძოლო ავიაციის მამა“ და „საჰაერო ბრძოლების ტაქტიკის მამა“. 1916 წელს დაწერა საჰაერო ბრძოლების ძირითადი ტაქტიკური მეთოდების კრებული „ბელკეს გამონათქვამები“ (*Dicta Boelcke*).
24. Рихтхофен М. фон (2004). *Красный истребитель*, Пер. с нем. И. И. Сиснева, Москва: ЗАО Центрполиграф.
25. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი (2017). ავტორთა კოლექტივი, აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის რედაქციით, თბილისი
26. პურ-ლე-მერიტის ორდენი (ფრანგ. Ordre Pour le Mérite ორდენი „დამსახურებებისთვის“) – პრუსიის უმაღლესი სამხედრო ჯილდო. მაქს იმელმანის პატივსაცემად, „ლურჯ მაქსს“ (გერმ. Blauer Max) უწოდებდნენ.
27. მაქს იმელმანი (Max Immelman, 1890-1916) – პირველი გერმანელი სამხედრო პილოტი, რომელსაც ასის ტიტული მიენიჭა; ოსვალდ ბელკესთან ერთად, პირველმა დაიმსახურა პურ-ლე-მერიტის ორდენი პირველი მსოფლიო ომის დროს. გამოიგონა იმელმანის მარყუჟი.

28. *Richthofen* (1917). The Red Fighter Pilot, Chapter 9 – I Get the Ordre Pour le Merite [wtj.com/archives/richthofen/richthofen_09.htm].
29. *Полная энциклопедия мировой авиации: Самолёты и вертолёты XX столетия* (1997). Под ред. Дэвида Дональда, Самара: Корпорация «Федоров».
30. პეტიტ-რუჟი (ფრანგ. Le Petit Rouge „პატარა წითელი“).
31. Vickers Airplanes and Aircrafts (8 June 2017) [ranker.com/list/vickers-aircraft-and-jets-and-planes/reference].
32. Manfred von Richthofen, *Der Rote Kampfflieger* [military-history.fandom.com/wiki/Manfred_von_Richthofen#Flying_Circus].
33. კაპიტანი, მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი.
34. Richthofen, Manfred von (2018), *The Red Fighter Pilot*, online edition [wtj.com/archives/richthofen].
35. Friendly Enemies (14 December 1925). *Time* magazine [content.time.com/time/subscriber/article/0,33009,786557-1,00.html].
36. Rittmeister Manfred Freiherr von Richthofen (1917). *Der rote Kampfflieger*, Berlin-Wien: Verlag Ullstein & Co. [vsip.info/der-rote-kampfflieger-manfred-freiherr-von-richthofen-1917-pdf-free.html].
37. Richthfoen, Manfred von (1933). *Reflections in a Dugout*. In: Der Rote Kampfflieger, translated by Frank McGuire, *The Many Deaths of the Red Baron: The Richthofen Controversy 1918-2000*, Bunker to Bunker Publishing, 2001 [pbs.org/wgbh/nova/redbaron/mind.html].
38. გელოვანი მირზა (1943). ნუ მწერ (ლექსი) [nplg.gov.ge].
39. Richthofen, Baroness Kunigunde von (1937). Mein Kriegstagebuch, translated into English by Suzanne Hayes Fischer, *Mother of Eagles: The War Diary of Baroness von Richthofen* (2001), Schiffer Military History.
40. რიხტჰოფენი გულისხმობს თავის ავტობიოგრაფიულ წიგნს.
41. Simms, William Philip (21 April 1918). *Germany's 'Red Baron' died*, United Press International Archives [upi.com].
42. Kaputt (გერმ.) – მორჩა, დამთავრდა, გათავდა.
43. *Who Killed the Red Baron?* (7 October 2003). Produced and Directed by Peter Nicholson, Public Broadcasting Service, NOVA [pbs.org].
44. Kilduff, Peter (1969). *The Red Baron*, New York, NY: Doubleday.
45. *Unsolved History: Death of the Red Baron* (2002). Discovery Channel, television documentary.
46. *Incidents in Connection with the Funeral of Captain Baron von Richthofen* (1918). Australian Screen, supposedly shot by Hubert Wilkins [aso.gov.au].
47. Robbie, Kevin (22 April 2016). A Gallant and Worthy Foe: The Death of the "Red Baron". *Thursday Review*.
48. ინვალიდენფრიდჰოფი (გერმ. Invalidenfriedhof) – პრუსიული არმიის ვეტერანთა სამუდამო განსასვენებელი, ბერლინის ერთ-ერთი უძველესი სასაფლაო, რომელიც 1748 წელს გაიხსნა.
49. Franks, Norman, and Alan Bennett (2007). *The Red Baron's Last Flight: A Mystery Investigated*, London: Grub Street, p. 9.